ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3722085

ნომერი: AR1551830

თარიღი : 24.10.2017

გაცემის თარიღი : 06.12.2017

გაცნობის თარიღი : 31.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაღი ბოტანიკური , მიმდებარე ტერიტორია / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოტანიკური , N 1 ; ქალაქი თბილისი , თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი , გზის მიმდებარედ (ნაკვ. 05/001) / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004); ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი , გზატკეცილი N1 / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N3 / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1ბ / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეონიძე , N 3 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი გუდიაშვილი , (ლომბარდისა და რუსთაველის პროსპექტის N1 სახლებს შორის)./ ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 2 , (ყოფ. კეცხოველის ქ. N8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა უგულავა პ/ნ 62001014950
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 84

ორგანიზაცია:

- სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური კოდი: 205270053

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- ადმინისტრაციული საკითხები

გადაწყვეტილება

2017 წლის 18 ოქტომბრის N04/1622 (06-01172911813-60 20.10.2017) განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, „თავისუფლება-სოლოლაკი-თაბორი“-ს საბაგირო გზის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე სამსახურის პოზიციას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად ხაზობრივი ნაგებობის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ზონალური (შეთანხმების) საფუძველზე, რომელსაც ანიჭებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი. ამასთან საპროექტო ობიექტის განთავსება იგეგმება ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში, შესაბამისად სამსახურმა საკითხი წარადგინა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ 2017 წლის 26 ოქტომბრის N43 სხდომაზე. საკითხმა მიიღო დადებითი რეკომენდაცია და გამოიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 07 ნოემბრის N1-2476 ბრძანება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია „თავისუფლება- სოლოლაკი-თაბორი“-ს საბაგირო გზის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება რიგი მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით: · გათვალისწინებული იქნეს „საბჭოს“ წევრთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები; გათვალისწინებული იქნეს თანამედროვე, უსაფრთხო მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება; დაცული უნდა იყოს საინჟინრო კომუნიკაციებთან სამშენებლო ნორმები; · შენარჩუნებული იქნეს საპროექტო მონაკვეთსა და მის მიმდებარედ არსებული ხე– ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;